

გიორგი ბენაშვილი

The Mazovian Academy in Plock, პოლონეთი

„მიმდინარე წლის აპრილში, კავკასიის უნივერსიტეტის მხარდაჭერით, შესაძლებლობა მომეცა Erasmus+ staff mobility for teaching პროგრამის ფარგლებში პოლონეთის პატარა ქალაქ პლოცში, The Mazovian Academy in Płock-ში გამეტარებინა ერთი კვირა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში აქამდეც მრავალჯერ ვყოფილვარ, ზემოთ აღნიშნული მობილობა ძალიან საინტერესო და დასამახსოვრებელი გამოდგა, რადგან ეს ჩემთვის Erasmus+ პროგრამის ფარგლებში პირველი აკადემიური მობილობა იყო.

მობილობის პერიოდში, შესაძლებლობა მომეცა შევხვედროდი ადგილობრივ სტუდენტებსა და პროფესორებს. პროგრამის ფარგლებში ჩემს მიერ დაგეგმილის ლექციების ინტერდისციპლინურობამ სტუდენტების დაინტერესება და მაღალი ინტერაქცია გამოიწვია, რამაც სასიამოვნოდ გამაოცა.

ლექციების გარდა, შევხვდი მასპინძელი ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს. ვისაუბრეთ საერთო აკადემიურ ინტერესებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

პოლონეთი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ეკონომიკური და ურბანული განვითარების მზარდი დინამიკით მოწინავე ქვეყანაა. სწორედ ამიტომ, ამ ქვეყანაში ქართველი აკადემიური პერსონალის მსგავსი მობილობები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობა გვაქვს აკადემიური კუთხით დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ პოლონეთის განვითარების მნიშვნელოვანი გარემოებები.

დიდი მადლობა ევროკავშირს და კავკასიის უნივერსიტეტს ამ შესაძლებლობისთვის!”